რაოდენობის შემთხვევაში, როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ რეჟიმებში.

ასევე, პაკეტების დანაკარგი (დანაკლისი) უფრო მნიშვნელოვანია AODV პროტოკოლისათვის, როგორიც არ უნდა იყოს ფუნქციონირება – სტატიკური, თუ დინამიკური დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დაყოვნება ერთ ბოლოდან მეორე ბოლომდე მიღწევისას ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია DSR პროტოკოლისათვის, თუ გადამცემთა რაოდენობა გარკვეულ რიცხვს აღემატება.

ამრიგად, განსხვავება AODV და DSR პროტოკოლებს შორის უმნიშვნელოა. მაგრამ უმჯობესია DSR პროტოკოლის გამოყენება, თუ გარანტირებულია, რომ ქსელში გადამცემთა რაოდენობა ძვირე იქნება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთ შემთხვევაში DSR პროტოკოლი გატარების უფრო განიერი ზოლის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

იმ შემთხვევაში, როცა ad-hoc ქსელი გამომსხივებელთა მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს, პროტოკოლის არჩევა მოთხოვნილებათა შესაბამისად ხდება. თუ მოთხოვნილება იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ბოლოდან მეორე ბოლომდე მიღწევა უმნიშვნელო დაყოვნებით ხორციელდებოდეს, მაშინ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა AODV პროტოკოლს უნდა მიეცეს. და პირიქით, DSR პროტოკოლი უკავესია, თუ პაკეტების დანაკარგები უნდა იყოს უმნიშვნელო.

ამრიგად, ჩატარებულია სხვადსხვა ქსელური პროტოკოლების შედარება ქსელის მამოდელირებელი NS მოწყობილობის საშუალებით.

იმიტაციურმა მოდელირებამ AODV და DSR პროტოკოლებზე მათი შედარებითი ანალიზის განხორციელება უზრუნველყო.

МОДЕЛИРОВАНИЕ СЕТЕЙ AD-HОС С ПОМОЩЬЮ NS-2

О. Намичайшвили, М. Чинчаруали

Грузинский технический университет

Мы имитировали некоторые типы беспроводных сетей ad-hoc для того, чтобы изучить показатели различных алгоритмов маршрутизации в них. Используя программное обеспечение имитирования NS2 (Network Simulator 2) симулированием оценивались принципы функционирования и в особенности показатели алгоритмов DSR (Dynamic Source Routing) и AODV (Ad hoc On Demand Distance Vector). Протокол OLSR (Optimized Link State Routing Protocol) ещё предстоит изучить.

Цель этой работы состоит в том, чтобы представить наш подход, сценарии (скрипты), созданные нами для оценивания различных алгоритмов в отличающихся условиях, и результаты, которые мы извлекли из этих испытаний.

Исследование включает краткое описание использованных инструментов, процедур, равно как и алгоритмов маршрутизации в изучаемых ad-hoc сетях. Затем работа представляет исследования, связанные со статическим функционированием для случайного расположения неподвижных узлов. Наконец, мы касаемся исследований, связанных с функционированием мобильных узлов. В общих чертах полученные результаты излагаются ниже.

Протокол DSR предлагает более широкую полосу пропускания для малого числа излучающих передатчиков как в статическом, так и динамическом режимах.

Также, потери пакетов более значительны для протокола AODV, каково бы ни было функционирование - статическим или динамическим.

Наконец, подчеркнём, что задержка (запаздывание) из конца в конец всегда значительнее для протокола DSR, если только количество передатчиков превосходит некоторое число.

Таким образом, разница между протоколами AODV и DSR незначительна. Однако предпочтительнее использовать протокол DSR, если гарантировано, что сеть будет состоять из малого количества передатчиков. В самом деле, этот протокол позволяет обеспечить лучшую полосу пропускания.

В случае сети ad-hoc, включающей в себя значительное число эмиттеров, выбор протокола осуществляется сообразно потребностям. Если требование состоит в том, чтобы иметь незначительную задержку из конца в конец, то в этом случае предпочтение должно быть отдано протоколу AODV. Напротив, протокол DSR предпочтительнее, если незначительными должны быть потери пакетов.

Это исследование позволило нам, в первую очередь, сравнить различные сетевые протоколы с помощью моделирующего работу сети устройства NS.

Имитационное моделирование с протоколами AODV и DSR дало возможность понять, в каких случаях один предпочтительнее другого.

დოკადობის ანტიპროტოკოლი თეორიის გრძი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი პროცესის შესახებ

ა. პაპუქაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი, aparukashvili@rambler.ru

მიწისძვრებისა და წყალდიდობების შედეგად დიდი დიამეტრის მქონე მილებში, გაზისა და ნავთობის საცავებში მოსალოდნელია ბზარების წარმოქმნა, რომელთა გავრცელების სისწავეები შეიძლება გამოიწვიოს დიდი ეკოლოგიური კატასტროფა. სასაზღვრო ამოცანების შესწავლას ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამოსაკვლევი ამოცანების მათემატიკური მოდელის საწყის მიახლოებად შეიძლება გამოყენებული იქნეს დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის განტოლებები ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისთვის. შესწავლილი იქნება განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევები, როდესაც ბზარები კვეთენ გამოიფ საზღვარს ან გამოდიან საზღვარზე ნებისმიერი კუთხით. წარმოდგენილ ნაშრომში ანალიზურ

ფუნქციათა თეორიის გამოყენებით დრეკადობის თეორიის ანტიპრტყელი ამოცანები ორთოტროპიული სიბრტყისთვის მიყვანილია უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე მხები ძაბვების ნახტომების მიმართ. შესწავლილია ამონასნის ყოფაქცევის საკითხები ბზარის ბოლოების მახლობლობაში და გამყოფ საზღვარზე. კერძო შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ ნახევარსიბრტყეს აქვს გამყოფი წრფის პერპენდიკულარული სასრული სიგრძის სწორსაზოვანი ჭრილი, რომლის ერთი ბოლო გამყოფ წრფეზე მდგბარეობს. ამ შემთხვევაში გვექნება უძრავი განსაკუთრებულობის შემცველი ერთი სინგულარული ინტეგრალური განტოლება. ამონასნის განსაკუთრებულობის რიგი გამყოფ წრფეზე მდგბარე $t = 0$ წერტილში დამოკიდებული მასალების დრეკად მუდმივებზე ეკუთვნის (0;1) შუალედს, ხოლო მეორე ბოლოზე გვაქვს კვადრატული ფესვის ტიპის განსაკუთრებულობა. მოყვანილია მიახლოებითი ამონასნის ზოგადი სქემები კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით. ზემოაღნიშნული ამოცანის მიახლოებითი ამონასნისთვის შედგენილია პროგრამა, რომელიც აპრობირებულია ტესტურ ამოცანაზე. მიღებულია დამაკმაყოფილებელი რიცხვითი შედეგები.

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (Grant #GNSF 09-614_5-210).

ABOUT APPROXIMATE SOLUTION OF ONE BOUNDARY VALUE PROBLEM OF ANTIPLANE ELASTICITY THEORY

A. Papukashvili

Tbilisi State University, Institute of Applied Mathematics
apapukashvili@rambler.ru

Natural phenomena, such as earthquakes and floods, may cause occurrence of cracks in the pipes of great diameter, and in

gas- and petrol tanks. Increase of the number and dimensions of cracks, from its part, causes to increase the volume of leakage that will result in great ecocatastrophe.

The study of boundary value problems for the composite bodies weakened by cracks has a great practical significance.

Equations of the antiplane elasticity theory for composite bodies weakened by cracks can be used as an initial approximation of the mathematical model of problems provided by the project.

More interesting cases when cracks intersect an interface or penetrate the boundary at any angle will be investigated [1]-[2]. Antiplane problems of the theory of elasticity by using the theory of analytical functions are presented in the paper. These problems lead to a system of singular equations with immovable singularity with the respected to leap of the tangent stress. The problems of behavior of solutions at the boundary are studied.

In a partial case when one half-plane has a rectilinear cut of finite length, which is perpendicular to the boundary, and one end of which is located on the boundary. We have one singular integral equation containing an immovable singularity. We get that an order of peculiarity in the point $t = 0$ depends on elastic constants of material and belongs to interval $(0;1)$.

In the work we use the collocation method. For approximate solution of the above-mentioned problem we form the program. The program is examined with testing problem. Several numerical experiments gave the satisfactory results.

The designated project has been fulfilled by financial support of the Georgian National Science Foundation (Grant #GNSF 09-614_5-210).

References:

1. Papukashvili A., Antiplane problems of theory of elasticity for piecewise-homogeneous orthotropic plane slackened with cracks. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 169, N2, 2004.p. 267-270;
2. Papukashvili A., Manelidze G., On approximate solution of one singular integral equation containing an immovable singularity. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, v.172, N3, 2005. p. 373-374.

О КАНАЛЬНОЙ ТРАССИРОВКЕ

Э. Т. Пилипосян

Российско-Армянский (Славянский) университет, Ереван, Армения
eduard.piliposyan@gmail.com

В данной работе рассмотрена задача возникающая на этапе трассировки, при проектировании интегральных схем. Исследуется задача трассировки канала на одном слое. Более формально: дан граф вершинами которого являются узлы прямоугольной решетки $p \times q$ (p - число горизонтальных и q - вертикальных линий), а ребрами соединены соседние узлы решетки. Также даны множества $M_1 = \{v_{1,1}, v_{1,2}, \dots, v_{1,k_1}\}$, $M_2 = \{v_{2,1}, v_{2,2}, \dots, v_{2,k_2}\}$, ..., $M_n = \{v_{n,1}, v_{n,2}, \dots, v_{n,k_n}\}$, где вершины $v_{i,j}$ принадлежат верхней или нижней границе прямоугольной решетки. Требуется построить максимальное количество (t) непересекающихся деревьев $T_{i_1}, T_{i_2}, \dots, T_{i_t}$, таких, что M_{i_j} является множеством висячих вершин дерева T_{i_j} , $j = 1, 2, \dots, t$.

В работе рассматривается случай $p \geq 2n$. Эта задача сводится к нахождению максимального независимого множества в графе пересечений вписанных в окружность многоугольников. Отметим, что последний тип графов является подклассом графов перекрытий. В работе [1] приведен полиномиальный алгоритм построения максимального независимого множества вершин в графе перекрытий со сложностью $O(\max(n^3, f(n,m), n \cdot g(n,m)))$.

В данной работе разработан алгоритм для нахождения максимального независимого множества вершин в графе пересечений вписанных в окружность многоугольников со сложностью $O(n^2)$. В частности, этот алгоритм находит максимальное независимое множество в графе хорд. Отметим, что наилучший из известных алгоритмов решения последней задачи [2], также имеет сложность $O(n^2)$.

1. E. Čenek and L. Stewart. Maximum independent set and maximum clique algorithms for overlap graphs. *Discrete Applied Mathematics*, 131(1):77–91, 2003.

2. T. Asano, H. Imai and A. Mukaiyama. Finding a maximum weight independent set of a circle graph. *IEICE Transactions*, E74(4):681-683, 1991.

ნახებრად-დისპრეტიზაციის მეთოდი
გირჟოვის განტოლების აპსტრაქტული ანალოგისათვის

ჭ. როგავა, მ. წიკლაური

ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია კოშის ამოცანა კირკოფის განტოლების აბსტრაქტული ანალოგისათვის. კერძოდ, H პილბერტის სივრცეში განხილულია კოშის შემდეგი ამოცანა:

$$\frac{d^2u(t)}{dt^2} + a\left(\|A^{1/2}u\|^2\right)Au(t) = 0, \quad t \in [0, T], \quad (1)$$

$$u(0) = \varphi_0, \quad \frac{du(0)}{dt} = \varphi_1, \quad (2)$$

სადაც A არის თვითშეუდლებული (A არ არის დამოკიდებული t -ზე) დადებითად განსაზღვრული (θ ოგადად შემოუსაზღვრელი) ოპერატორი $D(A)$ განსაზღვრის არით, რომელიც ყველგან მკვრივია H -ში.

$a\left(\|A^{1/2}u\|^2\right) = \lambda + \|A^{1/2}u\|^2$, $\lambda > 0$; φ_0 და φ_1 მოცემული

ვექტორებია H -დან. $u(t)$ არის უწყვეტი, ორჯერ უწყვეტად წარმოებადი, საძიებელი ფუნქცია მნიშვნელობებით H -ში.

(1)-(2) ამოცანის ამონასსნე ვეძებთ შემდეგი სიმეტრიული ნახევრად-დისკრეტული სქემით:

$$\frac{u_{k+1} - 2u_k + u_{k-1}}{\tau^2} + a\left(\|A^{1/2}u_k\|^2\right)\frac{Au_{k+1} + Au_{k-1}}{2} = 0, \quad (3)$$

სადაც $f_k = f(t_k)$, $k = 1, \dots, n-1$, $\tau = T/n$ ($n > 1$).

(1)-(2) ამოცანის მიახლოებით ამონასსნად $t_k = k\tau$ წერტილში გაცხადებო u_k -ს, $u(t_k) \approx u_k$.

$$(3) \text{ სქემისათვის ნაჩვენებია, რომ } \left\| \frac{u_k - u_{k-1}}{\tau} \right\| \text{ და } \|A^{1/2}u_k\| \text{ არიან}$$

$$\text{გლობალურად, ხოლო } \left\| A^{1/2} \frac{u_k - u_{k-1}}{\tau} \right\| \text{ და } \|Au_k\| \text{ არიან}$$

ლოკალურად შემოსაზღვრული. გლობალური შემოსაზღვრულობა შედარებით აღვილად მიიღება, ხოლო ლოკალური შემოსაზღვრულობა ეფუძნება არაწრფივი უტოლობის ამონესნას (ცხადია, ამ შემთხვევაში T დამოკიდებულია საწყის მონაცემებზე). ამ ფაქტების გათვალისწინებით, ნაჩვენებია (3) სქემის ლოკალური კრებადობა. აგებული სქემის გამოყენებით, შესრულებულია რიცხვითი გათვლები სხვადასხვა მოდელური ამოცანებისათვის.

ჩვენი აზრით, (3) სქემა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ყოველ ბიჯზე იხსნება წრფივი ამოცანა.

SEMI-DISCRETIZATION METHOD FOR ABSTRACT ANALOG OF KIRCHHOFF EQUATION

J. Rogava, M. Tsiklauri

I. Vekua Institute of Applied Mathematics,

In the present work the Cauchy problem is considered for abstract analog of classical Kirch-

hoff equation. Namely, in the Hilbert space H is considered the following Cauchy problem:

$$\frac{d^2u(t)}{dt^2} + a\left(\|A^{1/2}u\|^2\right)Au(t) = 0, \quad t \in [0, T], \quad (1)$$

$$u(0) = \varphi_0, \quad \frac{du(0)}{dt} = \varphi_1, \quad (2)$$

where A is a self-adjoint (A does not depend on t) positively defined (generally unbounded) operator with the definition domain $D(A)$, which is everywhere dense in H .
 $a\left(\|A^{1/2}u\|^2\right) = \lambda + \|A^{1/2}u\|^2$, $\lambda > 0$; φ_0 and φ_1 are the given vectors from H . $u(t)$ is a continuous, twice continuously differentiable, searched function with values in H .

We are searching solution of the problem (1)-(2) by the following symmetric semi-discrete scheme:

$$\frac{u_{k+1} - 2u_k + u_{k-1}}{\tau^2} + a\left(\|A^{1/2}u_k\|^2\right) \frac{Au_{k+1} + Au_{k-1}}{2} = 0, \quad (3)$$

where $f_k = f(t_k)$, $k = 1, \dots, n-1$, $\tau = T/n$ ($n > 1$).

As an approximate solution of problem (1)-(2) at point $t_k = k\tau$ we declare u_k , $u(t_k) \approx u_k$.

For the scheme (3) it is shown that $\left\|\frac{u_k - u_{k-1}}{\tau}\right\|$ and $\|A^{1/2}u_k\|$ are

globally, and $\left\|A^{1/2} \frac{u_k - u_{k-1}}{\tau}\right\|$ and $\|Au_k\|$ are locally bounded. Global

boundedness can be obtained considerably easier, but local boundedness is based on the solution of nonlinear inequality (obviously in this case T depends on the initial data). On the basis of these facts, local convergence of the scheme (3) is shown. Using the constructed scheme, there are carried out numerical calculations for different model problems.

In our opinion, the scheme (3) is interesting in the point of view that on each step the linear problem is being solved.

**გოშის ფილის სინგულარული ინტეგრალების
აპრომეთაციის ზოგიერთი სქემისა და
მათი გამოყენების შესახებ**

ჯ. სანიკიძე

ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტი

მოხსენება შეეხება კოშის ტიპის სინგულარული
ინტეგრალების აპროქსიმაციის საკითხებს. გარკვეულ
თეორიულ შედეგებთან ერთად განიხილება შესაბამისი
მიახლოებითი სქემების გამოყენების საკითხები.

**ON SOME CAUCHY TYPE SINGULAR INTEGRALS
APPROXIMATION SCHEMES AND THEIR APPLICATIONS**

J. Sanikidze

N. Muskhelishvili Institute of Computational Mathematics

The report deals with the questions of Cauchy type singular integrals approximation. Along with certain theoretical results applications of the corresponding approximate schemes are considered.

**METHODS OF USING COMPUTER INSTRUCTION
PROGRAMS IN EDUCATION OF INFORMATICS**

Etibar Seyidzade Vagif oglu

Qafqaz University, Baku

eseyidzade@qafqaz.edu.az

It is known that, any teaching method of any subject consists following parts: aims, contents, means and organizing forms of teaching. In primary schools purposes of teaching of subjects have not undergone changes practically. Main purposes to introduction to the courses of

subjects may be developed shortly in this way: development basic computer knowledge, improvement of logical thinking, improvement algorithmical ability and systematical approach in resolution of the task and improvement of elementary computer skills.

There is a rapid growth in the number of computer users in the field of computer-aided education software and their use. The fundamentals of computer-aided education are well provided by the education software to manage the student activities and same of the teachers role during the education process. The education technology programs prepared under the bases of computer-aided education software are mainly realised by the computers under the control of the teacher. Years experience and superiority of the software prepared on this subject allows to discuss their advantages and disadvantages and to find out the essential methods for preparing such kind of education software.

ინფორმაციის დაზუსტების ზაზი-ტექნოლოგია საინჰუსტიციო გადაწყვეტილების მიზანი

გ. სირბილაძე¹, ი. ხუციშვილი²

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹gia.sirbiladze@tsu.ge, ²irina.khutsishvili@tsu.ge

საინჰუსტიციო პროექტების ანალიზში ექსპერტთა შეფასებებს შესაძლოა პქონდეს გადამწყვეტი როლი. თუ საინჰუსტიციო გადამწყვეტილების მიღებისთვის არსებობს ან მცირერიცხოვანი თბილექტური მონაცემები, ან თბილექტური მონაცემები საერთოდ არ არსებობს, გამოცდილი ექსპერტი-მენეჯერების ინტელექტუალური აქტივობისა და ცოდნის საფუძველზე იქმნება საექსპერტო მონაცემები. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით სანდო შეფასებების მიღება და ანალიზი კი შეუძლებელია ინფორმაციული-საექსპერტო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ავტორები გვთავაზობენ საინჰუსტიციო გადამწყვეტილებებში რისკების შეფასების კომბინირებულ

ტექნოლოგიას, რომელიც ეფუძნება ორ ფაზისტატისტიკურ მეთოდს.

კრედიტის მოპოვების მიზნით ბანკში ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტის ბიზნეს-ანალიზს ახორციელებს ექსპერტთა ჯგუფი. კერძოდ, ისინი შეისწავლიან გარკვეულ ფაქტორებს, რომლებსაც არსებითად მიიჩნევენ კრედიტის გაცემისთვის. რეალურად, ექსპერტები ყველა წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტიდან მეტ-ნაკლებად ობიექტურ მონაცემთა ბაზაზე არჩევენ მცირე რისკების მქონე პროექტებს. შემდეგ კი ახალი დამატებითი ექსპერტული შეფასებები კეთდება ამორჩეულ პროექტებზე ინფორმაციის დაზუსტების მიზნით და ამის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით. ასეთ გარემოში გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი ტექნოლოგიის აგება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ორ ეტაპს:

- საქართველოს ცოდნის კონდენსაციის მეთოდის შერჩევა, რომელიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ-საექსპერტო მონაცემებზე,
- მეთოდის შერჩევა, რომლის გადაწყვეტილების მხარდაჭერისთვის იმუშავებს მხოლოდ საექსპერტო მონაცემები.

კრედიტის გაცემისას რისკების შემცირების მიზნით აქ წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების შეფასების ორ საფეხურს. პირველი ესაა უმნიშვნელო ან მცირე რისკების მქონე პროექტების გამოვლენა კაუფმანის ექსპერტონების მეთოდის საშუალებით. ეს მეთოდი იყენებს ექსპერტთა ინტერგალურ პესიმისტურ და ოპტიმისტურ ხარისხობრივ შეფასებებს ყველა პროექტთან მიმართებაში. აკეთებს ამ ცოდნის კონდენსირებას და შესაძლო რისკების სიმრავლეზე აგებს ხარისხობრივ დონეებს ყოველი საინვესტიციო პროექტისთვის, საიდანაც გამოვლინდება დაბალი რისკების მქონე პროექტები.

მეორე საფეხური გულისხმობს გადაწყვეტილებების დაზუსტებას შესაძლებლობითი დისკრიმინაციული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. უკანასკნელი შექმნილია ავტორების მიერ როგორც ცნობილი დისკრიმინაციული ანალიზის

მეთოდის შესაძლებლობითი განზოგადება. მეთოდი ამჟავებს პირველი საფეხურიდან შერჩეული შედარებით მცირე რაოდენობის პროექტებს მათი ერთმანეთთან შედარების და მაღალი ხარისხის მქონე პროექტების გამოვლენის მიზნით. ამის საფუძველზე კეთდება რჩევა-დასკვნა რათა გაიცეს კრედიტები.

PRECISING FUZZY TECHNOLOGY BASED INVESTMENT DECISION-MAKING

G. Sirbiladze¹, I. Khutishvili²

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

¹gia.sirbiladze@tsu.ge, ²irina.khutishvili@tsu.ge

The analysis of investment projects involves experts' evaluations that may become determinant in decision making. Thus, the investment decision-making is influenced by the various uncertainty factors and, the need to formalize and process fuzzy, insufficient and, mainly, expert data. Ignoring the above mentioned factors results in inadequate and non-acceptable decisions. As the experts' evaluations are outside the scope of the axiomatics and the laws of the probability theory, application of fuzzy-set approach will allow for correct processing of the qualitative (verbal) by nature experts' evaluations.

When there is a little or no objective data to make investment decision, experienced expert-managers are addressed to solve the problem. In this case, knowledge and intellectual work of the expert produces expert data. Analysis and development of trustworthy evaluations based on such data becomes possible only on the basis of informational-expert technologies. Such situations are typical for developing countries.

Coming out of the complications listed above, the authors, who originate from one of the developing countries, propose the technology that combines two fuzzy-statistical methods and provides the means of evaluating risks of investment decisions.

After submission business-plan to the bank with the aim of receiving a credit, experts perform applicant's business analysis. In particular, they check up on certain factors that are essential to grant a

credit. In fact, the experts' group selects a small set with minor credit risks from all submitted projects. Then, they perform additional evaluation to precise data within the selected set and take a final decision on granting a credit. Considering the procedure, the support decision making technology should involve two stages:

- choose the method of condensing the experts' knowledge, which is based on objective-expert data;
- choose the method, which works solely with expert data to support the decision.

The authors are well experienced in applying heuristic methods to the decision-making problems which are based on the objective and expert data. By comparing various methods and evaluating their reliability, authors decided on two, which were subsequently applied to a problem of investment decision making.

To reduce credit risks, the technology provides two stages of investment projects' evaluation. At the first stage, the Kaufmann - expertons method is used. This method uses interval pessimistic and optimistic estimates defined by the experts. The knowledge is then condensed and for each investment project compatibility levels are built on a set of possible risks. As a result, at this stage, the method selects projects with small or minor risks.

The second stage makes more precise decisions using the method of possibilistic discrimination analysis. The latter was developed by the authors as a possibilistic generalization of well-known fuzzy discrimination analysis. Possibilistic discrimination analysis is applied to a relatively small number of projects, selected from first stage, to compare and sort out high-quality projects.

As a result a new combined technology has been developed which makes it possible to identify investment projects with minimal risks and formulate levels of their crediting possibilities in the form of advice.

**სოციალური მომსახურების სფეროს პიზნეს-პროცესების
მოდელირება და მისი საინვორმაციო სისტემის
დაპროექტება**

გ. სურგულაძე, ნ. თოფურია, ა. შუბითიძე, ნ. შუბითიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტი
gsurg@gmx.net , ninotopuria67@mail.ru

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა პროცეს-ორიენტირებული, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და მოდელირების ვიზუალური ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელდეს რთული ბიზნეს-პროცესებისათვის მართვის სისტემის მოდელის აგება და შემდგომი კვლევა. მხედველობაში გვაქვს ისეთი პროგრამული პლატფორმები და სისტემები, როგორიცაა მაგალითად, მონაცემთა ბაზები, .NET-ის ინტეგრირებული ენები, ობიექტ-როლური მოდელი-ORM, უნიფიცირებული მოდელირების ენა UML, ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია - BPMN.

წარმოდგენილი პროექტის მიზნებია: სოციალური სფეროს მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა; სოციალური სფეროს მართვის საინფორმაციო სისტემის ინტეგრაცია არსებულ სისტემებთან; სოციალური სფეროს მართვის საინფორმაციო სისტემის დანერგვა და გაშვება საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს IT გარემოში.

ბიზნეს მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა სისტემის ძირითადი ამოცანები: სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღწერა და ოპტიმიზაცია; სოციალური სფეროს მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური მოდელის შექმნა; სოციალური ინფორმაციის მართვის სისტემისადმი ფუნქციონალური და არაფუნქციონალური მოთხოვნების ჩამოყალიბება.

ბიზნეს პროცესების აღწერის და ფუნქციონალური მოთხოვნების ჩამოყალიბების საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომელთა საფუძველზეც უნდა აიგოს

სოციალური სფეროს მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა განაწილებული ბაზა: სოციალური ბენეფიტის მაძიებელი და სოციალური ბენეფიტი. ნებისმიერი პროცესი რომელიც ამ სისტემაში იქნება განხორციელებული ემსახურება ამ ორი ობიექტის დაკავშირებას. სწორედ ამ ძირითადი კონცეფციის საფუძველზეა აგებული ბიზნეს-პროცესების (UML) და მონაცემთა ბაზის (ORM/ERM) მოდელები.

მონაცემთა განაწილებული ბაზების დასაპროექტებლად გამოყენებულია კატეგორიალური მიდგომის კონცეფცია (ენის ფორმალური გრამატიკისა და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდების საფუძველზე), უნიფიცირებული მოდელირების, მონაცემთა ბაზების ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტების, მომხმარებელთა ინტერფეისების ვიზუალური დაპოგრამების თეორიული საფუძვლები და მათი რეალიზაციის ინსტრუმენტები სამუალებანი. ექსპერიმენტული კვლევა განხორციელდა Visual Studio.NET, Ms_Visio, ORM /MySQL Server პაკეტების გარემოში.

МОДЕЛИРОВАНИЕ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ СФЕРЫ СОЦИАЛЬНЫХ УСЛУГ И ПРОЕКТИРОВАНИЕ ЕЕ ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ

Сургуладзе Г., Топурия Н., Шубитидзе А., Шубитидзе Н.

Грузинский Технический Университет,

Грузинский Университет им.Святого Андрея Первозванного

Патриаршества Грузии

gsurg@gmx.net , ninotopuria67@mail.ru

Современные информационные технологии дают возможность с помощью процесс-ориентированных, объектно-ориентированных и визуальных методов моделирования осуществить построение модели систем управления для сложных бизнес-процессов и их дальнейшего исследования. Имеются в виду

такие программные платформы и системы, как базы данных, интегрированные языки .NET, объектно-ролевая модель – ORM, унифицированный язык моделирования UML, нотация моделирования бизнес процессов – BPMN.

В качестве целей предложенного проекта рассматриваются следующие: Создание информационной системы управления социальной сферой; Интеграция информационной системы управления социальной сферой с уже существующими системами; Внедрение и реализация информационной системы управления социальной сферой в IT-среде Агентства социальных услуг Министерства Здравоохранения Грузии.

На базе анализа бизнес-потребностей исследуемой области определены основные задачи проекта реализации системы: Описание и оптимизация существующих бизнес-процессов для Агентства социальных услуг; Построение концептуальной модели распределенной базы данных информационной системы управления социальной сферой; Формирование функциональных и нефункциональных потребностей для системы управления социальной информацией.

На основе описания бизнес-процессов и функциональных потребностей выявлены те основные вопросы, на основе которых необходимо построить распределенную базу данных информационной системы управления социальной сферой: соискатель социального бенефита и социальный бенефит. Любой процесс, который будет осуществлен в этой системе, служит связыванию этих двух объектов. Именно на основе этой концепции построены модели бизнес-процессов (UML) и баз данных (ORM/ERM).

Для проектирования распределенных баз данных использованы концепция категориального подхода (на основе формальной грамматики языка и логико-алгебраических методов), унифицированного моделирования, объектно-ориентированного проектирования базы данных, теоретические основы визуального программирования пользовательских интерфейсов и инструментальные средства их реализации. Экспериментальные исследования проводились в рабочей среде программных пакетов Visual Studio.NET, Ms_Visio и ORM/MsSQL Server.

PGF – Pascal და Delphi პროგრამების საწყისი კოდის გრაფიკული ვორმატირების საშუალებები

ვ. ტროშინი
troshinvasil@gmail.com

მოხსენებაში ჩამოყალიბებულია ახალი მიღება
Pascal და Delphi პროგრამების საწყისი ტექსტების (კოდების) ფორმატირებისადმი, რომელსაც გრაფიკული დაფორმატება ეწოდა. ამ მიღებაში სრულდება დაფორმატების შემდეგი ეტაპები: საწყისი ტექსტიდან ცალკეული მოდულების (ქვეპროგრამებისა და უზნექციების) თანმიმდევრობითი გამოყოფა, მათი მთლიანი და ყოველმხრივი სტრუქტურული ანალიზი, სტრუქტურული შეცდომების აღმოჩენა და ლოკალიზაცია. ამავე დროს, მიიღება პროგრამის ისეთი დაფორმატებული ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს მოდულის ჩამოყალიბების სტრუქტურის ვიზუალიზაციას. მას დაემატება, ასევე, სტრუქტურული ხასიათის დამხმარე კომენტარების მაქსიმალურ რაოდენობა.

შექმნილია და **FreeWare** (უფასოდ) ვრცელდება **PGF (Pascal-programs Graphical Formatter)** პაკეტი, რომელიც ასრულებს **Pascal და Delphi** საწყისი კოდის გაუმჯობესებულ დაფორმატებას.

PGF – GRAPHIC FORMATTER OF THE PASCAL AND DELPHI PROGRAMS SOURCE CODE

V. Troshin
troshinvasil@gmail.com

In the given report the new approach to formatting the initial codes of the programs is formulated which was named as graphic

formatting. The basic stages of the given approach: consecutive allocation from the text of separate modules (subroutines and functions); their complete and all-round structural analysis; revealing and localization of structural mistakes; a conclusion formatization of the text, vizualized the revealed structure of the module; maximal addition of the auxiliary comments of structural character.

Developed and **FreeWare** (free-of-charge) distributed the package **PGF (Pascal-programs Graphical Formatter)**, carrying out the improved formatting of an initial code **Pascal** and **Delphi** of the programs is offered.

პომაიუსტერული ტომობრაფიის განხორბადებული სალაიცური ალგორითმის შესახებ

დ. უგულავა, დ.ზარნაძე
ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტი

duglasugu@yahoo.com, zarnadzedavid@yahoo.com

კომპიუტერული ტომოგრაფიის მთავარი ამოცანაა ფუნქციის აღდგენა რიცხვითი ალგორითმებით მისი სასრული რაოდენობა ინტეგრალებით წრფის ან სიბრტყის გასწვრივ. ის წარმოადგენს რადონის ცნობილი გარდაქმნის შებრუნების ამოცანას. k -განზომილებიანი რადონის $Rf(\theta, s)$ გარდაქმნა R^k -ში განსაზღვრულ ფუნქციას ასახავს R^k -ში პიპერსიბრტყების გასწვრივ ინტეგრალების სიმრავლეში. უფრო ზუსტად, $Rf(\theta, s) = \int_{(u, \theta)=s} f(u) du$, სადაც f აღმოჩენილია შვარცის $S(R^k)$ სივრციდან, ხოლო ინტეგრება ხდება პიპერსიბრტყები, რომელიც $\theta \in S^{k-1}$ ვექტორის მართობულია და s მანძილითაა დაშორებული სათავიდან. $Rf(\theta, s)$ რადონის R გარდაქმნა, შვარცის თეორემის თანახმად, არის წრფივი ურთიერთცალსახა ოპერატორი შვარცის $S(R^k)$ სივრცისა ასეთსავე შვარცის $S(Z)$ სივრცეში, სადაც $Z = S^{k-1} X R^I$.

მსგავსი ამოცანები განხილული იყო ზ.პრესდორფის მიერ, აგრეთვე ა.კ.ლოუსის ნაშრომებში, რომლებიც დაკავშირებულია რადიოლოგიური ამოცანების კვლევასთან მედიცინაში. რადონის R გარდაქმნა წარმოდგენილია როგორც უწყვეტი ოპერატორი $H=L^2(\Omega^k)$ სივრციდან $K=L^2(Z, \omega)$ სივრცეზე, სადაც Ω^k არის ერთეულრადიუსიანი ბირთვი R^k -ში, ხოლო $\omega(s)=(1-s^2)^{1/2}$ არის წონითი ფუნქცია. R -ს გააჩნია სინგულარული გაშლა $Ru=\sum_{k=1}^{\infty} \sigma_k(u, f_k)g_k$, სადაც $\{f_k\}$ და $\{g_k\}$ არიან ორთოგონალური სისტემები H -ში და K -ში შესაბამისად, ხოლო $\{\sigma_k\}$ არის დადებითი სინგულარული რიცხვების მიმდევრობა.

ჩვენ ვეძებთ $R(u)=f$ განტოლების კვაზიამონასს, ანუ განზოგადებული ამონასს მური-პენროუზის აზრით. ის აქმაყოფილებს განტოლებას $R^*Ru=R^*f$, სადაც $R^*f=\sum_{k=1}^{\infty} \sigma_k^{-1}(f, g_k)f_k$ არის R -ის R^* შეუდლებული პილბერტის აზრით და ეკუთვნის $\text{Ker } R^\perp = \text{Im } R^*$ სიმრავლეს. ცნობილია, რომ R^*R ოპერატორს აქვს სახე $R^*Ru=\sum_{k=1}^{\infty} \sigma_k^2(u, f_k)f_k$, არის თვითშეუდლებული და მხოლოდ დადებითი ოპერატორი პილბერტის H სივრცეში. R^*R ოპერატორისათვის ვიყენებთ $[1]-$ ში მიღებულ შედეგებს და განტოლებას გადაგვაქვს $D((R^*R)^{-1})^\infty = D((R^*R)^{-\infty})$ ფრეშეს სივრცეში ნორმების მიმდევრობით $\|x\|_n=(\|x\|_1^2+\|(R^*R)^{-1}x\|_1^2+\dots+\|(R^*R)^{-n+1}x\|_1^2)^{1/2}$. მივიღებთ, რომ $(R^*R)_\infty(u)=f$ განტოლებას, სადაც $(R^*R)_\infty$ ოპერატორი წარმოადგენს R^*R ოპერატორის შევიწროებას $D((R^*R)^{-\infty})$ ფრეშეს სივრცეზე, აქვს ერთადერთი სტაბილური ამონა ამ სივრცეში. სამართლიანია შემდეგი

თეორემა. $(R^*R)_\infty=f$ განტოლების მიახლოებითი ამონასნების მიმდევრობა $u_m=\sum_{k=m}^{\infty} \sigma_k^{-2}(R^*g, f_k)f_k$, რომელიც აგებული რიტცის გაფართოებული მეთოდით, კრებადია ამ განტოლების ამონსნისაკენ $(R^*R)_\infty$ ოპერატორის ენერგეტიკულ $E_{(R^*R)_\infty}$ ფრეშეს სივრცეში $[f]_n'=((R^*R f, f) + (f, (R^*R)^{-1}f) + \dots + (R^*R^{-n+1}f, R^*R^{-n}f))^{1/2}$, $n \in \mathbb{N}$, ნორმების მიმდევრობით.

განხილული ალგორითმი არის განზოგადებულად სპლაინური, რადგან უმ წარმოადგენს f -ის საუკეთესო მიახლოების ელემენტს $\text{Ker}I^\perp$ ქვესივრცეში $\{[.]'\}$ ენერგეტიკული ნორმების მიმართ, სადაც $I(f) = ((R^*R)^{\infty} f_1, f_1)$, $((R^*R)^{\infty} f_2, f_2), \dots, ((R^*R)^{\infty} f_m, f_m)$) არის არაადაპტური ინფორმაცია $D((R^*R)^{\infty})$ ფრეშეს სივრცეზე.

[1]. D.Zarnadze, D.Ugulava. On the application of Ritz's Extended Method for some ill-posed problems. Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I.Vekua Ins. of Appl. Math. Vol. 21, 2006-2007.

ON GENERALIZED SPLINE ALGORITHM OF COMPUTERIZED TOMOGRAPHY

D.K.Ugulava, D.N.Zarnadze

Niko Muskhelishvili Institute of Computerized Mathematics
duglasugu@yahoo.com, zarnadzedavid@yahoo.com

The basic problem in computerized tomography is the reconstruction of a function from its line or plane integrals. It presents the problem of inversion of Radon transformation R . k -dimensional Radon integral transformation $Rf(\theta, s)$ in R^k has the following form

$$Rf(\theta, s) = \int_{(u,\theta)=s} f(u) du,$$

where f belongs to Schwartz space $S(R^k)$, $\theta \in S^{k-1}$ and the integral is taken on plane which is orthogonal to θ and lying from origin on distance s . Therefore, Radon transformation R is linear and one-to-one operator from $S(R^k)$ to $S(Z)$, where $Z = S^{k-1} X R^T$.

Similar problem was considered By S.Presdorf and also by A.K.Louis, while investigation of radiology problems in medicine. In Radon transformation R is presented as the continuous operator from the Hilbert space $H = L^2(\Omega^k)$ in Hilbert space $K = L^2(Z, \varpi)$, where Ω^k is unit ball in R^k , $\varpi(s) = (1-s^2)^{1/2}$ weight function. R admits singular decomposition of the form $Ru = \sum_{k=1}^{\infty} \sigma_k(u, f_k) g_k$, where $\{f_k\}$ and $\{g_k\}$ are orthogonal systems in H and K respectively and $\{\sigma_k\}$ is sequence of positive singular numbers.

It is sought the quasisolution of the equation $R(u)=f$ in the sense of Moore-Penrose, which satisfied the equation $R^*Ru=R^*f$ and is contained in $\text{Ker}R^\perp=\text{Im}R^*$, where $R^*f=\sum_{k=1}^{\infty}\sigma_k^{-1}(f,g_k)f_k$ is conjugate to R operator in Hilbert sense. It is known that R^*R has the form $R^*Ru=\sum_{k=1}^{\infty}\sigma_k^2(u,f_k)f_k$, is selfadjoint and only positive operator in H . By using of results from [1] on selfadjoint and only positive compact operator R^*R in H , this equation $R^*Ru=R^*f$ is transferred in the Frechet space $D((R^*R)^\infty)$, where the restriction $(R^*R)_\infty$ of the operator R^*R on $D((R^*R)^{-1})^\infty=D((R^*R)^\infty)$ maps this space isomorphically onto and the equation $(R^*R)_\infty u=f$ has a unique and stable solution. The Frechet space $D((R^*R)^\infty)$ is considered with the sequence of norms

$$\|x\|_n=(\|x\|_n^2+\|(R^*R)^{-1}x\|_n^2+\dots+\|(R^*R)^{-n+1}x\|_n^2)^{1/2}.$$

Theorem. The sequence of approximate solution for the equation $(R^*R)_\infty u=f$, which is constructed by Ritz's extended method and has the form

$$u_m=\sum_{k=1}^{m-k} \sigma_k^{-2}(R^*g_k, f_k)f_k,$$

converges to the solution of this equation in the energetic Frechet space $E_{(R^*R)^\infty}$ of the operator $(R^*R)_\infty$ with the following system of norm

$$[f]'_n=((R^*R f, f)+(f, (R^*R)^{-1}f)+(R^*R^{-1}f, R^*R^{-2}f)+\dots+(R^*R^{-n+1}f, R^*R^{-n}f))^{1/2}, n \in N$$

and also in the Frechet space $D((R^*R)^\infty)$.

The constructed algorithm is generalized spline algorithm, because u_m is the best approximation element of f with respect to the all norms $[.]'_n$ in subspace $\text{Ker}I^\perp$, where $I(f)=((R^*R)^\infty f_1, f_1), ((R^*R)^\infty f_2, f_2), \dots, ((R^*R)^\infty f_m, f_m))$ is nonadaptive information on the frechet space $D((R^*R)^{-\infty})$.

[1]. D.Zarnadze, D.Ugulava. On the application of Ritz's Extended Method for some ill-posed problems. Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I.Vekua Ins. of Appl. Math. Vol. 21, 2006-2007, 60-63.

**სერვისზე ორიენტირებული არქიტექტურის
პროექტირების მთავრების გამოყენება საინტებრაციო
შუალედურ სისტემებში**

ნ. ფაჩუაშვილი, თ. კიგილაძე

საქართველოს საპატიო იურიკოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
n.pachuashvili@altasoft.ge

სერვისზე ორიენტაცია წარმოადგენს თანამედროვე პროექტირების პარადიგმას ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. პარადიგმის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ამა თუ იმ ამოცანათა კლასისთვის განკუთვნილი გადაჭრის ხერხებისა თუ პრინციპების ერთობლიობა. პროგრამული უზრუნველყოფის პარადიგმას წარმოადგენს ასევე, კარგად ცნობილი ობიექტზე ორიენტაცია. ხშირად, როდესაც საუბრობენ სერვისზე ორიენტაციის „შესახებ ტერმინ „სერვისის“ ქვეშ მოიაზრებენ ვებ სერვისს, თუმცა სერვისზე ორიენტაცია არ გულისხმობს პროგრამული ერთეულის მხოლოდ ვებსერვისის ფორმით შექმნას. სერვისასად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი პროგრამული კომპონენტი რომელიც შედგენილია სერვისზე ორიენტაციის პრინციპების დაცვით.

ნაშრომის მიზანია, კონკრეტული რეალური მოცანის განხილვის საფუძველზე მოახდინოს დეტალური ილუსტრირება სერვისზე ორიენტაციის პრინციპებისა და პროექტირების მეთოდებისა საინტეგრაციო შინაარსის ამოცანებში. მაგალითში განვიხილავთ ორი დამოუკიდებელი სისტემის შემაკავშირებელ შუალედური მოდულის აგების ამოცანას. საინტეგრაციო შინაარსის ამოცანები დღემდე ინარჩუნებს აქტუალურულობას დისტრიბუციულ გამოთვლებში, როდესაც კომპლექსური შედეგის მისაღწევად საჭიროა კომპოზიციური სისტემების შექმნა. საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 90 იანი წლების ბოლოს. არც თუ იმკიათად, პროგრამული სისტემის პროექტირებისას არასათანადო ყურადღება ეთმობა გარე სისტემებთან კომუნიკაციისა და მონაცემთა გაცვლის საკითხებს. ამოცანა განსაკუთრებული რთულ ფორმებს იძენს თუ შესაკავშირებელ სისტემთა ტექნიკური კომუნიკაციის ფორმები და საშუალებები,

როგორიცაა: გაცვლის პროტოკოლი, ტექნოლოგია, გასაცვლელი მონაცემთა ფორმატი და ა.შ. არათავსებადია. ვებსერვისების გამოჩენამ დიდად შეუწყო ხელი თავსებადობასთან დაკავშირებულ პრობლემების გადაჭრას. მიუხედავად ამისა საკითხი კვლავ აქტუალურია რიგ ამოცანებში. ხშირად ძირითადი ამოცანის გადასაჭრელად საჭირო ხდება სხვადასხვა ტექნოლოგიებზე და პრინციპებზე შედგენილი არსებული სისტემების შეკავშირება. შესაბამისად ჩნდება ძირითადი ამოცანისგან რადიკალურად განსხვავებული შინაარსის მქონე უტილიტური ტიპის ქვე-ამოცანები. მსგავი კომპოზიციების პროექტირებისას განსაკუთრებით საყურადღებოა სწორად იქნას გამიჯნული და აბსტრაქტირებული ძირითადი და უტილიტური პროცესები. ჩვენს მაგალითში განვიხილავთ შუალედურ მოდულს, რომლიც უზრუნველყოფს შეტყობინებათა მიმოცვლას განსხვავებული საკომუნიკაციო პროტოკოლის და მონაცემთა ფორმატის მქონე ორ სისტემას შორს. მოდული აგებულია სერვისზე ორიექტირებული პრინციპებისა და პროექტირების მეთოდებზე. ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული და დასაბუთებული ყველა გამოყენებული პრინციპისა და პროექტირების მეთოდის საჭიროება.

IMPLEMENTING SOME SOA DESIGN PATTERNS IN INTEGRATION SOLUTIONS CASE STUDY EXAMPLE

N. Pachuashvili, T. Kiviladze

St. Andrew the First called Georgian University of the Patriarchy of Georgia, n.pachuashvili@altasoft.ge

Service - orientation is a modern design paradigm in IT comprised of a specific set of design principles. Design paradigm represents set of design principles. Classic example of accepted software design paradigm is the well-known Object-orientation. The most fundamental unit of service-oriented solution logic is the service. Under service we are not

meaning only Web – services, any independent software program built on principles of Service-orientation can be called service.

Main goal of this paper is to illustrate real world case study example built on principles of service orientation and applying some design patterns of Service Oriented Architecture (SOA). How to achieve interoperability between different software systems is not a new problem in IT. Enterprise Application Integration (EAI) became a very important subject in the late 90's, but it is still urgent in distributed computing. Sometimes, when designing some software systems little thought is given to how to share data outside of system boundary, as a result integration of such kind applications in composite systems becomes hard task and in worst cases it is impossible. Situation getting more complicated especially when software modules are exposing technical communication capabilities (such as protocol, technology, data format an etc.) which are not compatible. The advent of web services solved many problems related to compatibility and interoperability. Despite of this, the problem is still urgent in several cases. In common cases it is necessary to establish communication between systems which are built on different technologies and design principles. Hence we are getting new sub-tasks with utility characteristics which absolutely differ from original problem. In such cases it is very important to make right distinction between task and utility parts of problem. Here will be discussed design characteristics of one particular middleware system acting as service broker between two systems which are not supporting standard communication protocols and message exchange formats. This middleware provides runtime data model and format transformations also protocol bridging to achieve desired interoperability. All architectural decisions which were advocated from principles of Service – orientation, also usage need of particular SOA design patterns will be discussed in detail.

არამრვივი დინამიური ძელის ერთი ამოცანის რიცხვოთი გათვალის შესახებ

ჯ. ფერაძე¹, ბ. ბაგანია² გ. პაპუქაშვილი³

^{1,2}ილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ³ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

j_peradze@yahoo.com, b_dzagania@yahoo.com,

papukashvili@yahoo.com

განვიხილოთ არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური
განტოლება

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2} + \delta \frac{\partial u}{\partial t} + \gamma \frac{\partial^5 u}{\partial x^4} + \alpha \frac{\partial^4 u}{\partial x^4} - \left(\beta + \rho \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x} \right)^2 dx \right) \frac{\partial^2 u}{\partial x^2} - \sigma \int_0^L \frac{\partial u}{\partial x} \frac{\partial^2 u}{\partial x \partial t} dx \frac{\partial^2 u}{\partial x^2} = 0, \quad (1)$$

$$0 < x < L, \quad 0 < t \leq T,$$

საწყის-სასაზღვრო პირობებით

$$u(x, 0) = u_0(x), \quad \frac{\partial u}{\partial t}(x, 0) = u_1(x), \quad (2)$$

$$u(0, t) = u(L, t) = 0, \quad \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(0, t) = \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(L, t) = 0, \\ 0 \leq x \leq L, \quad 0 \leq t \leq T.$$

სადაც α, γ, ρ და σ არიან დადებითი მუდმივები, β და δ კი ნიშანგანუსაზღვრელი. $u^0(x)$ და $u^1(x)$ მოცემულია ფუნქციებია, ხოლო $u(x, t)$ არის საძიებელი ფუნქცია. უნდა აღინიშნოს, რომ (1.1) განტოლებიდან მიიღება კირკოფის ტიპის განტოლება როგორც მისი კერძო შემთხვევა, როდესაც δ, γ და σ მუდმივები 0-ის ტოლია, ხოლო α უდრის 1 –ს [2]. ამ შემთხვევაში მიღებულ განტოლების ამოხსნადობის საკითხები შესწავლილია ბილერის, ბრიტოს, ფერერასა და ფერაძის შრომებში [3]. ზემოაღნიშნული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის შედგენილია პროგრამა, რომელიც აპრობირებულია ტესტურ ამოცანაზე. მიღებულია დამაკმაყოფილებელი რიცხვითი შედეგები.

References

1. J.M.Ball, Stability theory for an extensible beam, J.Diff.Eq., 14(1973), 399-418.
2. G. Kirchhoff (1876), Vorlesungen über Mathematische Physik: Mechanik, Leipzig.
3. S.M.Choo and S.K.Chung, L^2 -error estimate for the strongly damped extensible beam equations, Appl. Math. Lett., 11 (1998), 101-107.

ABOUT NUMERICAL A COUNT OF ONE NONLINEAR DYNAMIC BEAM PROBLEM

J. Peradze¹, B. Dzagania² G. Papukashvili³

^{1,2}ilisi State University, ³.Chavchavadze State University

j_peradze@yahoo.com,b_dzagania@yahoo.com,
papukashvili@yahoo.com

Let us consider integro-differential equation

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2} + \delta \frac{\partial u}{\partial t} + \gamma \frac{\partial^5 u}{\partial x^4 \partial t} + \alpha \frac{\partial^4 u}{\partial x^4} - \left(\beta + \rho \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x} \right)^2 dx \right) \frac{\partial^2 u}{\partial x^2} - \sigma \int_0^L \frac{\partial u}{\partial x} \frac{\partial^2 u}{\partial x \partial t} dx \frac{\partial^2 u}{\partial x^2} = 0, \quad (1)$$

$0 < x < L, \quad 0 < t \leq T,$

with the initial boundary conditions

$$\begin{aligned} u(x, 0) &= u_0(x), & \frac{\partial u}{\partial t}(x, 0) &= u_1(x), \\ u(0, t) &= u(L, t) = 0, & \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(0, t) &= \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(L, t) = 0, \\ 0 \leq x \leq L, & & 0 \leq t \leq T. & \end{aligned} \quad (2)$$

Here $\alpha, \beta, \gamma, \delta, \rho, \sigma, T, L$ and $u_0(x), u_1(x)$ are some given positive constants and functions. Equation (1), which was introduced by Ball [1], describes the behavior of a strongly damped extensible beam. The questions of construction and investigation of numerical methods for equation (1) are dealt with in [2]-[3]. For approximate solution of problem (1), (2) with respect to the spatial variable we used the Galerkin method, the accuracy of which is estimated. For approximate solution of the above-mentioned problem we form the program. The program is examined with testing problem. Several numerical experiments gave the satisfactory results

References

1. J.M.Ball, Stability theory for an extensible beam, J.Diff.Eq., 14(1973), 399-418.
2. G. Kirchhoff (1876), Vorlesungen über Mathematische Physik: Mechanik, Leipzig.
3. S.M.Choo and S.K.Chung, L^2 -error estimate for the strongly damped extensible beam equations, Appl. Math. Lett., 11 (1998), 101-107.

**მათემატიკური მოდელირების გამოყენება ნავთობისა
და გაზის ძიებაში (თბილისისაცირა ნავთობაზიანი
რაიონის მაბალითზე)**

თ. ფიცხელაური

საქართველოს საპატიო არქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ptamriko@yahoo.com

შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელირების გამოყენების მაგალითები ნავთობისა და გაზის ძიებისას თბილისისპირა რაიონში.

ფიზიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზის თეორია ეფუძნება ფიზიკური ველებისა და ფიზიკური პროცესების შესაბამის მათემატიკურ მოდელებს, რომელთა საფუძველზეც ხდება სიგნალების მათემატიკური მოდელების შექმნა. მათემატიკური მოდელების საშუალებით შესაძლებელია სიგნალების თვისებების აღწერა. სიგნალების მათემატიკური მოდელების შესწავლით შესაძლებელია სხვადასხვა თვისებების მიხედვით კლასიფიცირება. გაზომვების შედეგები განხილულია გეოფიზიკური მონაცემების მაგალითზე. გეოფიზიკური ველის ცნება გულისხმობს გეოლოგიური ობიექტის ან გეოლოგიური სტრუქტურის მიერ შექმნილ ფიზიკურ ველს. შესაბამისად, გეოფიზიკური სიგნალი არის - რომელიმე გეოფიზიკური ველის მდგენელი. გეოფიზიკურ ველებს განსაზღვრულ პირობებში შეესაბამება სიგნალების მათემატიკური მოდელები.

დასმული ამოცანის ამოხსნისათვის ჩატარებული იქნა შემდეგი კვლევები:

- ნავთობისა და გაზის ძიების დროს მათემატიკური მოდელირების მეთოდების ფუნდამენტური საფუძვლების გამოყენება;
- კვლევის შედეგები მიღებულია მონაცემების მათემატიკური მოდელირების რიცხვითი მეთოდების დამუშავების საფუძვლელზე.
- მათემატიკური მოდელირების ვარიანტების შერჩევა შესაძლებლობას გვაძლევს შექმნილი მათემატიკური მოდელები შევადარეთ საგელე სამუშაოების შედეგად მიღებულ მოდელებს.

ПРИМЕНЕНИЕ МАТЕМАТИЧЕСКОГО МОДЕЛИРОВАНИЯ ПРИ ПОИСКАХ НЕФТИ И ГАЗА

Т. Пицхелаури

Грузинский университет им. Святого Андрея Первозванного
Патриаршества Грузии
ptamriko@yahoo.com

Рассмотрены проблемы математического моделирования разработки нефтяных и газовых месторождений вблизи Тбилиси.

Теория анализа и обработки физических данных базируется на математических моделях соответствующих физических полей и физических процессов, на основе которых создаются математические модели сигналов. С помощью математических моделей имеется возможность описывать свойства сигналов. Знание математических моделей сигналов дает возможность классифицировать их по различным признакам, характерным для того или иного типа моделей. результаты измерений рассмотрено на примере геофизических данных. Под геофизическим полем понимают какой-либо физической величины создаваемое геологическим объектом или геологической структурой в пространстве. В простейшем случае геофизический сигнал - это изменение какой-либо составляющей геофизического поля, т.е.

сечение поля по одному из аргументов. Геофизическим полям в определенных условиях их регистрации соответствуют определенные математические модели сигналов.

Для решения поставленной задачи были необходимы следующие исследования:

Разработка фундаментальных основ и применение математического моделирования при поисках нефти и газа;

- Результаты исследований получены численными методами математического моделирования с использованием современных программ и компьютерной техники;
- Анализируются современный опыт применения и теоретические исследования нефтяных и газовых в пластях.
- Достоверность полученных результатов подтверждена сравнением результатов расчетов и эксперимента.

При выполнении работы применялся программный продукт, который обеспечил надежность и корректность выбранных алгоритмов и математического аппарата в целом.

დისტანციური სატრენინგო-საშეჯიბრო სისტემის შემუშავებისათვის

გ. ქობულაძე

საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
machakhela74@gmail.com

პროგრამირებაში დისტანციური სატრენინგო-საშეჯიბრო
სისტემების შექმნის აქტუალობა დასტურდება ამ პროფილის
სისტემების სიმრავლით, რომლებიც, როგორც წესი,
დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს
ტრენინგებისა და შეჯიბრებების ჩატარებას სხვადასხვა
წესებისა და სცენარების მიხედვით. მოცემული
მომენტისათვის არ არსებობს ამ პროფილის ერთი სისტემა
რომელიც იქნებოდა აღიარებული და-ფაქტო სტანდარტად,
რაც იმის მანიშნებელია რომ, ამ მიმართულებით არც

კვლევათა და არც სამუშაოთა წარმართვა არ არის მიახლოებული დამაგვირგვინებელ წერტილთან.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზემოხესენებული პროფილის პროგრამული უზრუნველყოფის ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ჰეფასებათა სისტემას.

К РАЗРАБОТКЕ ДИСТАНЦИОННОЙ ТРЕНИНГОВО-СОРЕВНОВАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ

Г. Кобуладзе

Грузинский университет им. Святого Андрея Первозванного
Патриаршества Грузии, machakhela74@gmail.com

